საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით ასპინძის მუნიციპალიტეტის დასახლებებში დასახლების საერთო კრებების და რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ე.ე) და ე.ი) ქვეპუნქტების, 85^3 მუხლის პირველი პუნქტის ბ) და თ) ქვეპუნქტების, 85^4 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმების“ პირველი მუხლის მე-6 პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით ასპინძის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები ამ ბრძანების N1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში;

2. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისაგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადებების შემუშავების პროცესში;

3.თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისათვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს N1 დანართის მიხედვით;

4.მოქალაქეებისაგან საპროექტო წინადადებების წარდგენა განხორციელდეს მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან/ასისტენტებთან ყოველდღე, 09.00 საათიდან 18.00 საათამდე, 2026 წლის 16 თებერვლის ჩათვლით, აგრეთვე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე: aspindzameria@gmail.com;

5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა;

6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილი პირები განისაზღვრონ N2 დანართის შესაბამისად;

7.ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ მხარეებს;

8. ბრძანების გასაჩივრება, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, შესაძლებელია ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა);

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.